ინდივიდუალური მეწარმე „იუზა გეფერიძე“

მისამართი: ქალაქი თბილისი, ლ.არდაზიანის ქუჩა N30, ტელ: 599 371402, ს/კ 01024028796. ელ.ფოსტა: iuzageferidze@gmail.com

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N84-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი: 01.12.01.003.216) სასაწყობე შენობის პროექტი

ორგანიზაციის პროექტი

ინდივიდუალური მეწარმე „იუზა გეფერიძე“

დირექტორი: ი. გეფერიძე

ინჟინერ-კონსტრუქტორი: ი. გეფერიძე

შეასრულა: ი.გეფერიძე

ქ.თბილისი, 2023 წელი

პროექტის შემადგენლობა

1. თავფურცელი
2. განმარტებითი ბარათი
3. კალენდარული გრაფიკი.
4. გრაფიკული ნაწილი:
   - სამშენებლო გენგეგმა.
   - სამონტაჟი სქემა.



განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СНИП-3.01.01 -85 თანახმად და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების მე-18 და მე-20 მუხლების შესაბამისად.
2. საპროექტო ტერიტორია, რომელიც ქ.თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირი N84-ში მდებარეობს ამავე ქუჩიდან არის შესაძლებელი, რომელიც როგორც ტოპოგრაფიულ გეგმაზე, ასევე სამშენებლო გენგეგმაზე არის აღნიშნული, ტერიტორია ხასიათდება შემდეგნაირად: ქარის ნორმატიული დატვირთვა: 45-50 კგ/მ^2, თოვლის საფარის წონა 50-55კგ/მ^2, ტერიტორიის სეისმიურობა - 8 ბალი.
3. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივება განისაზღვრება СНИП-1.04.03-85 თანახმად.

   მოსამზადებელ პერიოდში უნდა განხორციელდეს შემდეგი სამუშაოები:
   - დროებითი ღობის და ჭიშკრის დაყენება, პერსპექტიული რეკონსტრუქციის სამუშაოების წარმოების გათვალისწინებით;
   - დროებითი „ნაგებობების“ განლაგება უსაფრთხო ზონაში;
   - საპროექტო ქსელების გაყვანა;
   - სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტოქსელებიდან;
   - სასაწყობე მოედნის გათვალისწინება;
   - კონსტრუქციების და მასალების შემოტანა მოედანზე;
   - სამშენებლო უბნის დროებითი განათება;
   - ხანძრისაგან დაცვის სისტემის მონტაჟი და შეერთება დროებით წყალსადენის ქსელთან.
4. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით. დამუშავებული გრუნტი ზედმეტ მოცულობაში უნდა იქნას გატანილი. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით. სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს არსებული მიწისქვეშა ქსელების ადგილმდებარეობის დაზუსტება. საჭიროების შემთხვევასი მოხდეს მათი გადატანა ან გაუქმება. გრუნტის დამუშავება მოხდეს СНИП-III.4-80, ცხრN4-ის თანახმად.
5. პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას ბეტონის ტუმბო Putzmeister M525-ს და საავტომობილო ამწე KATO SL 650R-ის საშუალებით. ბეტონის ტუმბოს დახმარებით მოხდება ბეტონის ნარევის მიწოდება და საავტომობილო ამწის დახმარებით ლითონის კარკასის, ფერმები, სენდვიჩ-პანელების მონტაჟი და აგრეთვე სამშენებლო მასალების მიწოდება. მექანიზმების მოძრაობა უნდა მოხდეს შენობის გრძივი მიმართულებით.

   სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს ორი რიგის მიხედვით:
6. მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები:

   პირველი რიგი - მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები:

I ეტაპი - სამეშენებლო მოედნის მოწესრიგება - 20 დღე.

II ეტაპი - შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება – 10 დღე.

მეორე რიგის სამუშაოები - შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელების ძირითადი რიგის სამუშაოები იყოფა შემდეგ ეტაპებად.

IIIეტაპი - შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები - 30 დღე.

IVეტაპი - შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები - 20 დღე.

Vეტაპი - შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები - 50 დღე.

VIეტაპი - ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე - 40 დღე.

VII ეტაპი - შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან 5,0 ნიშნულამდე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. - 50 დღე.

VIII ეტაპი - შენობა-ნაგებობის 5,0 ნიშნულიდან 12,0 ნიშნულის ჩათვლით ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა - 60 დღე.

IX ეტაპი - შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა - 60 დღე.

X ეტაპი - არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა - 40 დღე.

XI ეტაპი - შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა - 30 დღე.

XII ეტაპი - ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი - 30 დღე.

XIII ეტაპი - შენობა-ნაგებობის გარე მოპირკეთების სამუშაოები - 30 დღე.

XIV ეტაპი - შენობა-ნაგებობების შიდა მოპირკეთების სამუშაოები - 40 დღე.

XV ეტაპი - მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები - 30 დღე.

სენდვიჩ პანელების ტრანსპორტირება და მონტაჟი:

7. სენდვიჩ-პანელების ტრანსპირტირება ხდება სატვირთო ღია პლატფორმების მქონე ავტომანქანებით;
   - პლატფორმის სიგრძე არ უნდა იყოს ნაკლები ვიდრე პანელის სიგრძეზე ;
   - პლატფორმის სიგანე არ უნდა იყოს ნაკლები 2,5 მ-ს;
   - პლატფორმას უნდა ჰქონდეს სამაგრი „ბაგირები“ /პანელების დასაჭერად/;
   - სენდვიჩ-პანელების გადმოტვირთვა უნდა მოხდეს საავტომობილო ამწის საშუალებით;
   - თუ გამოსატვირთი პაკეტის სიგრძე აღემატება 8მ-ს, გამოყენებული იქნას სპეციალური „განივი კოჭი“ ტრავერსებთან ერთად;
   - პანელების დაწყობა მოედანზე უნდა მოხდეს სპეციალურ საფუძველზე შეფუთულ მდგომარეობაში;
   - მონტაჟისას უნდა იყოს გათვალისწინებული:
     - ქარის სიჩქარე/ არ უნდა აღემატებოდეს 9 მ/წმ;

- ამინდი/ არ უნდა იყოს წვიმა ან თოვლი და ტემპერატურა არ უნდა იყოს $+4^0$ ნაკლები;
- ლითონის კარკასის ზუსტი და სრული მონტაჟი;
- ინსტრუმენტების შემოტანა მოედანზე;

- სენდვიჩ-პანელების ჩაჭრისას (საჭიროების შემთხვევაში) უნდა იყოს გათვალისწინებული:
  - სპეციალური ხერხების გამოყენება;
  - ამოჭრილი ნაწილების გამაგრება.
- სენდვიჩ-პანელების მიმაგრება კარკასთან უნდა ხდებოდეს სპეციალური ინსტრუმენტებით;
- სენდვიჩ-პანელების მონტაჟი უნდა ხდებოდეს ამწის საშუალებით;
- წვრილი ელემენტების მონტაჟი შეიძლება მოხდეს ხელით;
- მონტაჟის შემდეგ აუცილებლად გათვალისწინდეს ნაკერების შევსება, დამცავი ფენის მოხსნა და საჭიროების შემთხვევაში პანელის ჩარეცხვა.

ყურადღება !!! სენდვიჩ-პანელების მონტაჟისას აკრძალულია იმავე სამშენებლო ზონაში ნებისმიერი შემდუღებელი სამუშაოების ჩატარება.

8. უსაფრთხოების ტექნიკა

ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურავებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშვლებულია სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

9. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმოანქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის

მოქმედების არეალი (სამშენებლო მოედანი) აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორების გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

- ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
- მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ეკოსისტემა;
- ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
- ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:

კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ 1996 წ. განსაზღვრავს იმ ზოგად მოთხოვნებს, რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

კანონი „წყლის შესახებ“ 1997წ. შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაზღვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი „ატმოსფერული ჰაერის შესახებ“ 1997 წ. ითვაისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

კანონი „მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ“ 1998 წ. მოიცავს მავნე ნივთიერების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით - ბეტონის ტუმბოების საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღიჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

10. ყველა ფიზიკური სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის 2007 წ. 28 მარტის N62 დადგენილების - „მშენებლობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით; ასევე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N477 დადგენილები - „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დაცვის მიხედვით.

წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ. მო-1, მო-2 ერთად.

Putmzmeister M52-5-ს ტექნიკური დახასიათება

1. მოცულობა - 160,00 მ³/სთ
2. აწევის სიმაღლე - 50,00 მ
3. შვერა - 48,10
4. შლანგის სიგრძე - 4,00 მ
5. მანქანის სიგრძე - 13,60 მ
6. დგარების შორის მანძილი - 10,20 მ

KATO SL 650R-ის ტექნიკური დახასიათება

1. მაქსიმალური ტვირთამწეობა - 65,00 ტნ
2. ისრის სიგრძე - 44,50 მ
3. ბატიტელის სიგრძე - 8,30-13,20 მ
4. მაქსიმალური აწევის სიმაღლე - 45,50 მ
5. აწევის სიმაღლე ბატიტელით - 58,60 მ
6. დახრის კუთხე - $7^0 – 60^0$

ყურადღება !!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

ინდივიდუალური მეწარმე „იუზა გეფერიძე"-ს

დირექტორი: ი. გეფერიძე

ინჟინერ-კონსტრუქტორი: ი. გეფერიძე

შეასრულა: ი.გეფერიძე

ქალაქ თბილისი, ნაძალადევის რაიონი, დავით გურამიშვილის ქუჩა № 84-ში (ს.კ. 01.12.01.003.276) საცხოვრებელი შენობის სამშენებლო სამუშაოების კალენდარული გრაფიკი

რიგი	ეტაპი	სამუშაოების დასახელება	წელი												წელი					
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI
I რიგი	I ეტ.	სამშენებლო მოედნის მომზადება	20																	
	II ეტ.	შენობა-ნაგებობის მიწის ქვაბულის დამუშავება და ძირითადი ფილების დამონტაჟება	10																	
II რიგი	III ეტ.	შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები		30																
	IV ეტ.	შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები			20															
	V ეტ.	შენობა-ნაგებობის სარდაფის მოწყობის სამუშაოები				50														
	VI ეტ.	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობის სამუშაოები ნულოვანი ნიშნულამდე					40													
	VII ეტ.	შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან +5.0 ნიშ. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყ.							50											
	VIII ეტ.	შენობა-ნაგებობის +5.0 ნიშნულიდან +18.0 ნიშნულამდე ძირითადი, კონსტრუქციული სისტემის მოწყობა									60									
	IX ეტ.	შენობა-ნაგებობის სახურავის და გადახურვ. მოწყობა											60							
	X ეტ.	ვიტრაჟული კონსტრუქციების მოწყობა												40						
	XI ეტ.	შენობა-ნაგებობის [illegible] [illegible] ქსელების მოწყობა														30				
	XII ეტ.	ვენტილაციური მოწყობილობების მონტაჟი															30			
	XIII ეტ.	შენობა-ნაგებობის გარე მოპირკეთების სამუშაოები																30		
	XIV ეტ.	შენობა-ნაგებობის შიდა მოპირკეთების სამუშაოები																	40	
	XV ეტ.	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები																		30

მშენებლობის ხანგრძლივობა
18 (თვრამეტი) თვე

ინდივიდუალური მეწარმე „იუზა ბეჟაშვილი"
დირექტორი: ი. ბეჟაშვილი
შეასრულა: ი. ბეჟაშვილი